ტალღით ხმაურში გადავიტოვო წუთებს გაფრენილს. და მეზარება, რომ ბედისთვის მივეყვ ელვის კვალს. ანიაგება მეგავრება დამწვარი ნაფერფლის; ვიცო: ბურუსში გაცხადდება, რაც მე ეჭვი მკლავს. ატალღებული აფიფვის მუქი მორცვი და მშობიარე თან საწუთროს კუბის სტორიას. დამეძებრება ქაჯი, ჭინკა... და მოვერევი... მომეჩვენება, რომ ამ წუთებს თან მისტირია. ჩემი დარღული შოლტი ხენი დაიბაღრება და ზღაპრულ ჩრდილში, მიაგება აჭურციკება. ნისლი წარსული აინთება ყვითელ ქაღალდს ლოდინი მძიმე აყვავება. და აფურცლება... და ბევრი ტალღით ნაბერწალი გაიტყორცნება; მრავალი ტალღა გადაივლის მძიმე მხუთით; მოვა ბავშვები სულ სხვა გვარი, და სხვა ოცნება; ჩემი სახელი აღივსება ქარის ზუილით ვით წინაპართა ას—ათასჯერ ათი ზმანება.

ტალღათ-ნაბერწალი.

(გ. ვოთოშია)

უსათაურო იყო ის წამი, ჩვენი შეხედრბა—მოულოდნელი; სიამე—ცეცხლის ცრემლით ნაწამი, იმედი—გვემადლაუწყობელი.

ასევე მოხდა გათიშვა ჩვენი; დღეს კი არ ვიცი ვის დავემდურო, და შურისგების ღმერთს მიუძღვენი ეს რვა სტრიქონი უსათაურო!

ლებული იყო დაედგინებინა ამ ფაქტების სისწორე.

პოლანდიის სოციალისტური გაზეთი „Het Volk“-ი აღწერს მოთხოვნას მთავრობისადმი, რათა მან დაუყოვნებლივ კვლავ დაეკავოს მკვლელობით ბერლინის „ფორვერტი“-ს აღმშენებელი ეხლა მით, გერმანიის მთავრობა არ სდგამს ნაბიჯებს იმისათვის, რომ „სისხლის სამართლის დანაშაულისათვის გასამართლებულმა და დღემდე სადაც მიმალულმა მკვლელებმა მოხადოს თავისი სასჯელი“. როდესაც ამ მთავრობაში ისხდნენ „ფორვერტი“-ს თანამშრომელი, ის სდგამდა. ის ეხლა ვერ ბედვს აშკარად მოითხოვს მკვლელობის გატყუებას. აგრეთვე საგვსებო საკმარის მიაჩნია რომაელებს მკვლელობისათვის ორი წლის ციხე.

„ინტელიგენციის ისტორიისათვის“

ამ სათაურით იყო მოთავსებული გაზეთი „ტრიბუნა“-ში წერილი ბან „იან-დი“-სა ჩვენი ინტელიგენციის ისტორიის შესახებ. ავტორი იწვევდა ყველა იმას, ვისაც კი დაუწყია მოღვაწეობა მე-19-ე საუკუნეში და გადმოუდგამს ფეხს მე-20-ში, რასაკვირველია, ყველა მათ მოგონებას და ნაწერებს ექნებათ მნიშვნელობა ამ საკითხის გასაშუქებლად და წარსული ცხოვრების დასახასიათებლად, მაგრამ უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს იმ დაწესებულებებს, რომლის გარშემოც შემოკრებილი იყო წარსულში ქართული ინტელიგენცია. ვიცით, ქართველ ინტელიგენციის და ქართული აზროვნების ისტორიის დაწერა სურს, მან უსათუოდ უნდა მიმართოს იმ წყაროებს, საიდანაც გამოიღონარგონდნენ ცხოველ-ყოველი ძალები ჩვენი ერისა და სადაც იბადებოდა და იზრდებოდა ნამდვილი ქართული ერი.

ინტელიგენციის ისტორიის წინ უნდა უძღოდეს ისტორია ყველა იმ კულტურულ დაწესებულებებისა, რომელიც აღმართული იყო ქართველ ინტელიგენციის მიერ თვითპრობლემატიკის დროს და იცავდა ქართველი ერის კულტურის და მის საუკეთესო იდეებს.

განუწყვეტელ ბრძოლისაგან დაქანცულმა ერმა მე-19-ე საუკუნეში აღმართა რამდენიმე ბურჟუაზიის კულტურული სიმდიდრის დასაცავად და შესანარჩუნებლად. ამ ბურჟუაზიში გამაგრდნენ რუსეთის თვითმპყრობლობისაგან განადგურებული უკანასკნელი კულტურული ძალები ჩვენი ერისა, აქ გაა-

ნავთის მხოლოდ ამოღება.

„astasia“-ის ცნობით ნავთის ამოღება 1922 წელს უდრიდა 843 მილიონ ბარელს (ბარელი—133 ნახ. კილოგრ.) წინააღმდეგ 1921 წლის 765 მილიონისა და 1914 წლის 408 მილიონისა. ამოღების ადგილმდებარეობის მიხედვით (ფრანგულში ჩასული ციფრები ეკუთვნის 1921 წელს): ჩვენ გვაქვს: შვედეთში—547 (472) მილ. მექსიკაში 187 (193) რუსეთში—30 (29), სპარსეთში—19 (17) პოლანდიის ოსტინდოეთში—16,5 (16,9) რუმინიაში—8,9 (8,4), ინდოეთში—8,5 (8), პოლონეთში—5,3 (5,2), პერუში—4,3 (3,7), ტრინიდადში—2,6 (2,4), არგენტინაში—1,8 (1,7), ვენაუელაში—2,1 (1,4), ეგვიპტეში—1,4 (1,3), იაპონიასა და ფორმოზაში—2,5 (2,4) დანარჩენ ქვეყნებში—2,3 (1,2).

ჩაღეს მათ თავიანთ მოღვაწეობა, აქ აღზარდეს და დაიზარეს მათ ახალთაობა.

სწორედ ამ ბურჟუაზიდან გამოიშალნენ ის ძალები, რომელთაც გამოათხიზნეს მშრომელი ხალხი, გააძლიერეს მისი შეგნება და ამხედრეს იგი კლასობრივ და ეროვნულ თავისუფლებისათვის.

მე, როგორც მოწამე იმ თავგანწირული ბრძოლისა, რომელსაც აწარმოებდა ქართველი ინტელიგენცია თავისუფლებისათვის მთელ „რუსეთის იმპერიაში“, მოწამე, რომელმაც თვალყურით აღვიწა ამ ბრძოლას 10—20 წლის განმავლობაში და აღწერა ცხოვრება იმ სახელოვან მებრძოლთა, რომელთაც შეაკლეს თავი თვითმპყრობელობას და სული დალიეს ციხეში, ყველაზე მეტად ვარ დაეწევილი მიგაწოდო საზოგადოებას ის მასალა ანუ ის დოკუმენტები, რომელნიც ახასიათებენ ჩვენს წარსულს ცხოვრებას და გვაცნობენ ქართველ ინტელიგენციას და მის აზროვნებას. იმედია მაქვს პატივცემული რედაქცია ვაზ. „ტრიბუნას“-სი მიმცემს საშუალებას ჩემი „მოგონების“ და წერილების დასაბეჭდად.

გენო უორჩიბაში.

რედაქციისაგან: ჩვენ სიამოვნებით მოვთავსებთ წერილებს და მოგონებებს ჩვენს საზოგადო, პოლიტიკურ და ლიტერატურულ მოღვაწეთა შესახებ. განმეორებით და დაბეჭდვით ვსთხოვ ყველას, მოგვაწოდოს ვისაც კი ასეთი მასალის მოწოდება შეუძლია.

სხვა სხვა

— **ოლიმპიადი.** ამ ზაფხულზე კიევში შესდგება სრულიად უკრაინის ოლიმპიადი; აღექვსი პარეზი აწინებულ იქნება სასპორტო სტადიონი 10.000 ადგილისათვის.

— **ქალაქის ტურნირი.** მარტის დასასრულს ბერლინში შესდგა პირველი საერთაშორისო მუშათა ქალაქის ტურნირი. უცხოეთის სახელმწიფოები სუსტად იყვნენ წარმოდგენილი. რუსეთის მოქალაქეებიდან წარმოდგენილი არ იყო.

— **წარმადგენელ მოსკოვი.** თანახმად მოსკოვში მომზადარ აღწერისა, აქ ამ ეამათ ითვლება მილიონ ნახევარი მცხოვრები და მათ რიცხვში 4500

უმალევი მიიყვანა ფაქტმა, სადაც მას ელოდა მშვიდი ბინა და ნეტარება.

ფაქტმათან მომავალს საბინჯანს, რამოდენიმე ნაბიჯი და უკლდა წყარომდე მისვლას, რომ ამ სასწაულებრივ სანახაობამ ყმაწვილს გონება მიზნად და გაოცებული ერთ ადგილზედ უმოძრაოდ გაქვავდა. მან სასწაული იხილა... ყმაწვილს ცაში მომზირალი თვლები ერთ წერტილისთენ მიეგრებოდა და როდესაც ვარსკვლავის ნათლის სვეტი მთვარესთან მიანოვებისას მკრთალად გაქრა, მაშინ საბინჯანმა მოკაშაზე მთვარეზედ დაინახა ქალის სახის მზგავსი ხატება, რომელიც აქამდე მთვარეზედ არ მოსჩანდა. საბინჯანი გაოცდა.

— ნუ თუ ეს ფაქტმა! ის არის ჩემი ფაქტმა! ნათლის სვეტმა ის ცაში აიტაცა და მთვარეს მიგვარა! ღმერთო ჩემო ეს რა ვიხილე!

საბინჯანი დაჟინებით უტყვრდა მთვარეს, მას უნდოდა ნათლად გაერკვია ფაქტმა სახე. მან იცნო იგი მთვარეზედ, ხედავდა მის ღიბონ თვლებს, მხრებზედ გადაყრილს თმის კუთხულებს. ბროლის ყელს, მოლიმარე ტუჩებს. ფაქტმა ღმირით იხილდა თვისკენ, ცაში ეძახდა. საბინჯანმა აღტაცებით შესძახა:

— ფაქტმა! ჩემო კარგო, მეც წამიყვანე შენთან, ფაქტმა! მეც შენთან მსურს ყოფნა, ჩემო ძვირფასო!

საბინჯანი თვისდა უნებურად დაეშვა მწვანე ბილახზედ და თან მთვარეს თვალს არ აშორებდა, რომ ფაქტმა სახე თვალთაგან არ მიჰფარეოდა. იგი მთლად მზერად იყო გადატყუებული. მისი არსება მომხიბვლელ ოცნებებს შთაიქნებოდა, ნეტარ სიზმრებს მოეგვადებინა და ასე დაუსრულებლად მზერაში მისწვდა მისი ნაზი სიყვარულით აღსავსე გულის ბეგრა. საფირობის თვალთაგან მგზნებარე მხედველობა მიწელდა, მარჯნის ბაგეთ ფერი დაჰკარგეს და აღარ ისმოდა ვერცხლის ხმოვანი მუსიკა, რომელიც უტყობო ნეტარად მდინარობდა მის ბაგეთაგან.

საბინჯანი მწვანე მდელზედ იყო გადასვენებული და მას ციდან უტყვრდა მთვარე ფაქტმა ღმირით, ვიდრე არ მიეფარებოდა გადაღმა მთებს.

დილის რიკარჟზედ, როდესაც ხანის მწყემსმა,

„კომუნისტური“ გამოთქმებით და პოლიციის უბანში სკანდალსაც კი ახდენდნენ, სადაც ისინი მიიყვანეს ნამდვილ კომუნისტებთან ერთად. ისინი ხმებს ავრცელებდნენ, რომ მათ სცემეს დატუსაღების დროს და ცდილობდნენ მთელ რიგ წარმოებებში საპროტესტო გაფიცების მოწყობას. პროვოკატორების ჩვენებანი ნაფიც მსაჯულზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ და დამცველნი პირველ რიგში აყენებენ საკითხს, თუ რატომ დასპირდა ეს მიზიგანის მთავრობის ხელისუფალთ, რომელთაც კომუნისტების საწინააღმდეგო პროცესი ვადაქციეს თანდათან ამ რეპრესიული შტატის ხელისუფლების საწინააღმდეგო პროცესათ.

— **მარტოვის გვამის დაწვა.** აპრილის 10-ს, ბერლინში ფერბერლინის პლაცზე (ვილმერს-დარფი) კრემატორიაში დასწვეს ლ. მარტოვის გვამი.

საიფოლა იოსელიანის მოხსენება

პარასკევს, 4 მაისს, პირველ კონსერვატორიის დარბაზში (გრიბოედოვის ქუჩაზე) შესდგება სპარსეთიდან ჩამოსულ ფერეიდანელი ქართველის სეიფოლა იოსელიანის მოხსენება სპარსეთში მცხოვრებ ქართველების შესახებ. აგრეთვე წაითხული იქნება მოხსენება — „სეიფოლა იოსელიანის ჩამოსვლის მიზანი საქართველოში“, ზ. ჭიჭინაძის მიერ, რომელიც შეეხება ქართველების გადასახლებას სპარსეთში.

ჩვენი სკოლა

ქუთაისი. ქუთაისის მაზრის სახალხო განათლების განყოფილების გამგე ან. პოლიკარბ ლუკაძე ბახტაძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით წარსულ წელს ქალ. ქუთაისში დაარსდა სამეცნიერო კომიტეტი, რომელსაც თავმჯდომარეობს დამსახურებული პედაგოგი სპარსო ჯორჯიკია. ამ კომიტეტის მიზანია შეიტანოს მეცნიერების საერთო საღაროში შეძლებისდაგვარად თავისი წვლილი და მასთანვე ხელი შეუწყოს პედაგოგიური დონის აწინაგრძელებას მასწავლებელთა შორის სამაგალითო გაკვეთილების გადაცემა გაჩვევით და ზოგიერთი ზედღირებით საკითხების დაშუქებით.

აღნიშნული კომიტეტის დაარსება უნდა ჩაითვალოს დიდ წარმატებათ განახლებული და შრომის პრინციპებზე აგებული შრომის სკოლის ცხოვრებაში.

აქაურ მასწავლებელთა ძლიერ გვეინტერესებდა სამაგალითო გაკვეთილების მიცემა გაჩვევით, მთელ შემტეს, რომ ასეთი სულიერი საზრდოს მოკლებული ვართ თითქმის 1914 წლიდან.

მასწავლებელთა სკოლისკეთებას ალო აულო სამეცნიერო კომიტეტმა, რომლის ინიციატივითაც ამა წლის აპრილის 21-ში, დღის 12 საათზე, ქუთაისის საბჭო I შრიმ. სკოლის დარბაზში (ყოფ. რაულ. სასწ. შენობა) მისცა სამაგალითო გაკვეთილი გამოცდილ მასწავლებელმა მოქალ. პლატონ წულუკიძემ. საკითხი მიმართა მკითხველს გაუზიარო ჩემი შეხედულება აღნიშნული გაკვეთილის შესახებ: —სამეცნიერო კომიტეტის მოწოდებით სამაგალითო გაკვეთილს დაესწრო ქუთაისის ყველა შრი. სკოლების მასწავლებლებიდან 41. (ბუნებ. მეტყველ. მასწავლ.) გაკვეთილი იქნა მიცემული სკოლის მუზეუმში, რომელიც თავისი წარმატება სხვა და სხვაობით ანდამატებით იხილავს მნახველს ყურადღებას, რაც უნდა მიეწეროს სკოლის გამოცდილი და გამოძიებული მშრომელი გამგის მოქალ. ივ. გაჩეილაძის სისტემატურას და გონიერს მუშაობას. გაკვეთილი მისცა მე-IV კლასში. მასალა იყო: „ფურცარი და მისი ცხოვრება“. გაკვეთილის დრო—40 წამი. როგორც მოსლოდნელი იყო გაკვეთილის ავტორმა უკვე მიახწია მიზანს, განუმარტა რა მოწოდებებს სრულიად გასაგები საბავშვო ენით, რაც აღიარებული იქნა დამსწერი ამხანაგებისაგან. გაკვე-

მი. დანიშნულ დროზე ადრე კრემატორიის შენობასთან დიდძალმა ხალხმა მოიყარა ყველა წარსული რუსეთის მთელი ემიგრაცია, რადგან სპარსეთში მონაქრისტია გამოკლდნენ. აქვე იყვნენ პერლინში მცხოვრები რუსი კომუნისტები, მასობრივად მოვიდა მაქსიმ გორკი, პ. აკესლოდი და სხ. კაცები ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო. სამკვლელოდ ჩემი გაიხსნა მეტოვერის სამკვლელო-რო მარში; შემდეგ წარმოთქმულ იქნა სიტყვები, რომელშიც ახასიათებდნენ განსვენებულს. სიტყვები წარმოთქმეს: დანმა, აბრამოვიჩმა, იულიანმა, წერეთელმა და ჩერნოვმა. მეორე და ვენის ინტერნაციონალის სახელით სიტყვები სიტყვები ოტრუ მილსმა და კრისპანმა. გრავისწარმოების „აზის სივრდილის“ ხმების ქვეშ და შემდეგ ინტერნაციონალისა, კუბო ჩაშვებულ იქნა დასაწყავ შენობაში.

შაბაბაზის მიერ 17 საუკუნეში; თუ რამ გამოიწვია აღმოსავლეთის მესულმანთა ტომებში ქართველების გადასახლების მიზეზები. დელა-ვალეს ორსნეს და ლამბერტის ცნობები, ქეთევან დედოფლის წამება ქ. შირაზში 1622 წ. და იქ მყოფ გიორგი არქიმანდრიტის ცნობები ქართველების შესახებ. მოხსენება ვრცელად ეხება სპარსეთის ქართველების გადასახლების სხვა და სხვა ცნობებს.

თილის გარეგანს ადგილი არ ჰქონია ამხანაგებთა შორის ხირომანტობას, ხოლო თავმჯდომარე მოქალ. სპარ. ჯორჯიკიას მხრივ უზურპატორობას: ყველას ეძლეოდა სრული თავისუფლება გამოთქვა თავისი აზრი.

პირუთენელობა მოითხოვს გაკვეთილის მრავალ გვარ ღირსება-დიდებით მხარეებთან აღნიშნოს ნაკლიც, რომელიც თვითონ ავტორმაც აღიარა გულწლად: ა) იყო ენის მოკვლეობა-პროვინციალიზმის ხმარება და ბ) სუსტი დისციპლინა.

(ბ—ნაკლს ავტორი გაკვეთილის წულუკიძე არ იზიარებს). რადგან მე სამეცნიერო-საგანმანათლებლო არა ვინმეს გულის მოგება ანუ წყევლა-კრულვა, ვიტყვი გულანდილად; რომ სასკოლო დისციპლინა გაკვეთილის მიცემისას უკვე ამოვიდა თავისი ორბიტიდან, რაც ბუნებრივია და დასაშვებია იმ პირობებში, რომელშიც სწავრობდა მუშაობა.

ამერიკის გამოჩენილი პედაგოგი ჯან დიუი ამბობს: „10—12 წლის ბაღი შეიძლება ფეხზე გადავიყვანო მხოლოდ 10—15 წამით. მაშასადამე თუ ამ ნორმზე მეტს გავაჩერებთ, ბავშვი იღლება და მისი ორგანიზმი თხოვლობს გასაქანს, რომ ერთი მდგომარეობიდან გადავიდეს მეორე მდგომარეობაში. აი, სწორედ ეს გახლდათ მიზეზი, რომ მოწოდება ერთი ნაწილი ბოლოს და ბოლოს პასიურად მოეპყრო გაკვეთილს, რადგან აღნიშნული ნაწილი მოწოდება 40 წამის განმავლობაში ფეხზე იყო გაჩერებული.

ვიმეორებ ფაქტი ფაქტათ უნდა აღინიშნოს რადგან აქ მსჯელობა გვაქვს ბავშვთა აღზრდის საქმეზე და არა ნათლიანობაზე.

ჩემის აზრით, რადგან იღნიშნულ მუხებში დამატებითი საკამების დადგმა აღარ შეიძლება, რომ ყველა მოწოდება დამჯდარიყენენ, უზუბესი იქნებოდა ხსენებული მასალა (ფურცარი და მისი ცხოვრება) მოქ. წულუკიძეს განემარტა მოწოდებათვის საკლასო ოთახში ცოცხალი ფურცარისა და სურათების ჩვენებით, ხოლო გაკვეთილის დამთავრების შემდეგ სკის საჩვენებლად და ფურცართა საზოგადოების გასაცნობათ მიემართა მუზეუმისათვის.

ქუთ. მე-XIII შრი. სკოლ. გამგე გ. წიგვივაძე. 21 აპრილი, ქუთაისი.

პროკონსტანტინე

ახანა. ასკანის ცხოვრება არ არის უფროში, მიზეზდავთ იმისა, რომ სამოსწავლო სეზონში მოსწავლე ახალგაზრდობა და სტუდენტობა სტუდენტს მას. კულტურული ძალები საკმაოდ რჩება ასკანაში, სასიხარულოდ უნდა ჩათვალოს, რომ ასკანის ინტელიგენცია (განსაკუთრებით მასწავლებლობა) წესიერ ხელმძღვანელობის უწყვეს ყოველგვარ კულტურულ მუშაობას. აქ დაარსდა ე. წ. „სიხიზნის საზოგადოება“, რომელმაც მიზნად დაისახა ლოთობის მოსპობა. ორ თვეზე მეტია არც ერთი წევრი საზოგადოებისა არ გამოუჩინებია. (წესდება ერთი მუხლის ძალით ვინც დათვრება დაჯარიმდება და გამოირიცხება) ასეთი საზოგადოების დაარსება ყველგან მიზანშეწონილია.

კვირას, 15 აპრილს, ასკანის სახალხო სახლში (ყოფილ ეკლესიაში) წარმოდგენილი იყო ნ. ნაკაშიძის ცნობილი პიესა „ვინ არის დამნაშავე“ ავტ. შარაშიძის რეჟისორობით. დაწერილებით არ განვიხილავთ პიესას. ვიტყვი მხოლოდ, რომ პიესის დადგმა საერთოდ დამაქმავებელი იყო, უნდა დამეხარებოდა რომ ავტ. შარაშიძე გამოცდილი სცენის მომხრეა და ასკანის ნიჭიერი ძალებით მას დიდი სამახსოვრის გაწევა შეუძლია.

საერთო სენია, რომ დანიშნულ დროზე არასოდეს დაიწყება წარმოდგენა სოფელში, მაგრამ აქ კი გალაქარებით დაგვიანდა წარმოდგენის დაწყება. ვიმეორებთ ტენიკური დაბრკოლებანი შემ-

დგში ვადალახული იქნება და ვისაც ძალა შესწევს მუშაობას არ დაიზარებს კულტურულ ფრონტზე.

შ.

— **ამინდები დასავლეთ საქართველოში.** ხანმოკლე და თბილი ზამთრის შემდეგ წელს ადრიაინ ზაფხული დადგა, შუა მარტში დღიური ტემპერატურა 20—22° აღწევდა ცელსიით; ხეები აყვავდნენ და კვირტი გამოიღეს. მაგრამ ამინდი უტყვარ შეიცვალა საწინააღმდეგო: 20 მარტს დაუბერა ციხმა, ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარმა და ერთი დღის განმავლობაში ტემპერატურა 0 გრ—მდე დაეცა ცელსიით, საღამოთი უკვე რთილი დასდო და ღამით მოსთოვა. ვაკე ადგილებში თოვლი უკვე 23 მარტისათვის გადნა, ხოლო რაც შეეხება მთის და გორაკის ადგილებს, აქ თოვლი უკანასკნელ ხანებადღე მაინც დაუმდნარი იყო. 23 მარტიდან 10 აპრილამდე ამინდი არაჩვეულებრივ ცვალებადობას განიცდიდა და სითბოდან სიცივეში და სიცივიდან სითბოში გადადიოდა სწრაფად. ასეთმა ამინდებმა თითქმის ყველგან სასოფლო-სამეურნეო მუშაობა, რომელიც უკვე დაწყებული იყო, ყველგან შეაჩერეს. დაზარალდნენ აყვავებული ხილის ხეები, განსაკუთრებით ატმის და ქლიავის. უკანასკნელი ცნობებით დასავლეთ-საქართველოში შეჩანა დღეობა, თუცა ქარი ხანდისხან ცივი, მაინც ქრის ხოლმე.

ვ. ბუთლიაშვილი.

ხელმოწერა

სამხატვრო-ხელოვნებათა მთავარ კომიტეტში
— აღნიშნულ კომიტეტს გერმანიიდან მოუვიდა შემდეგი წინადადება: ვინაიდან გერმანიის ქალაქ ნიურნბერგში ახლო მომავალში იხსნება სამხატვრო და სიბეჭდო ფართო გამოფენა, ამის გამო გერმანიის სამხატვრო გამოფენის კომიტეტი თხოვს საქართველოს სამხატვრო კომიტეტს, რათა მან მიიღოს მონაწილეობა ექსპონატების გამოგზავნით. კომიტეტმა მიიღო ეს წინადადება და დაადგინა მიიღოს გამოფენაში აქტიური მონაწილეობა.

ახალი ჟურნალი და ხელოვნებათა კურსები
— ხელოვნებათა მუშაკების პროფკავშირთან არსებულ კულტ-განყოფილებასთან. თანახმად საქალაქო კონფედერაციის დადგენილებებისა, დაარსდა საგანგებო კომისია, სადაც შედიან მწერლები, მხატვრები, მსახიობნი და დრამატურგნი. კომისიის მიზანია გამოცემოს ჟურნალი-ქართული ხელოვნების საილუსტრაციო ჟურნალი. აგრეთვე დაარსონ მცირე ხნის კურსები რეჟისორებისა და ინსტრუქტორებისა პროფკავშირისთვის სპეციალური დასამზადებლათ.

გვერდის გამოშვებებზე მიენდო ტიპიანი ტაბიქის და შალვა დადიანს.

ნინო დავითაშვილის ბენეფისი.
4 მაისს, რუსთაველის თეატრში გაიმართება დამსახურებულ მსახიობ ქალის ნინო დავითაშვილის ბენეფისი. წარმოდგენილ იქნება სარდუს ცნობილი პიესა „მადამ სან ჟენე“. ჯულიეტას როლს შეასრულებს მომღერალმა ნაპოლეონმა კი გიორგი დავითაშვილი.

პიესა „ელექტრა“—გოფმანსტალის პიესა, რომელიც გადართმობს ქართულად შალვა დადიანმა მსახიობი ქალი აბელაშვილი დგამს თავის სამხატვრო ნიჭით.

ელა ანდრონიკაშვილის ავადმყოფობა.—დამსახურებული მსახიობი ქალი ელა ანდრონიკაშვილი სერიოზულად შეიქნა ავად: ამის გამო მისი წარმოდგენა გადმო 2 ივნისისათვის. წარმოდგენილ იქნება ზოშტარია-ერისთავის რომანიდან „ბედის ტრიალი“ გადმოკეთებული ინსცენიროვკა შალვა დადიანის მიერ.

აკადემიური დახმარების სეზონი—ქართულ აკადემიურ დახმარების სეზონი თავდება 4 ამა ივნისს. სეზონის დასასრულს დადგმულ იქნება „პამელი“. კოტე მარჯანიშვილის რეჟისორობით.

სახალხო ხანძლის სეზონი და იუბილე სახალხო ხანძლის სეზონი თავდება 14 ამა ივნისს. 30 წლის არსებობის იუბილე კი გაიმართება მაისის შუა რიცხვებში. ამ დღისთვის გამოვა უფლებრივი საიუბილეო კრებულები.

ცენტრალურ მუშათა კლუბში—სახალხო სახლთან არსებული დრამ-სექცია შალვა დადიანის რეჟისორობით მიწვეულია მუშათა ცენტრალურ კლუბში საზაფხულო სეზონისათვის სამუშაოდ.

სახალხო კლუბი ცენტრ. არმკლუბში. ხელოვნების მუშაკების პროფკავშირმა მიიწვია სახალხო სახლთან არსებული ქართული დრამ-სექცია ცენტრ-არმკლუბში ჯარისთვის წარმოდგენების გასამართვად.

შალვა დადიანის იუბილე ხოხუმში—შალვა დადიანის იუბილე სოხუმში გაიმართება 6 მაისს.

ახალი პიესა—შალვა დადიანმა დაამთავრა ახალი პიესა „სამაია“. შინაგანი აღებულია ჩვენი ინტელიგენციის ცხოვრებიდან.

ტუგანოვის იუბილე—წერულს 30 წელიწადი შესრულდა რაც რეჟისორის და მსახიობის ასპარეზზე მოღვაწეობს ტუგანოვი. მის იუბილეს ვისამართავად არჩეულია კომისია.

პიესა-ხატრა—რუსმა პოეტმა ლეოვალმა დასწერა პიესა—სატრა „ისტორიის რეგალი“. პიესა გადაეცა სარეპერტუარო კომისიის განსახილველად.

იუბილე აკადემიურ ოპერის თეატრში დიდიხნის მოსამსახურეთა, რომელთა სამსახური 25 წელზე მეტია.

სახელმწიფო აკადემიურ თეატრების მმართველობის, კომპოზიტორის და სახელმწიფო ოპერის ადგილობრივი თაოსნობით დადგენილია სახელმწიფო ოპერის თეატრში 29 ამა აპრილს იდგენასწავლის იუბილე ხელოვნებაში დიდიხნის მოსამსახურეებისა, რომელთა მოღვაწეობა 25 წელზე მეტია:

დომბროვსკი ივან პეტრეს ძე მსახურობს თეატრში 1868 წ. სხვა და სხვა თანამდებობაზე, ამჟამად განაგებს ვაჟთა ტანსაცმელს.

დუბინკო ა. დ. მსახურობდა თეატრში 1868 წ. 1918 წლამდე სცენის მენეჟანეთ.

დავითოვი ი. ფ. მუშაობს თეატრში 1892 წ. და ეწევა მძიმე სცენის მუშის საქმეს.

ლუბედიანკაია ე. ი. თეატრში 1896 წ. დგანაგებს ქალთა ტანსაც.

ხმანოვი ი. ა. მსახურობს 1894 წ. ამჟამად ასრულებს თეატრის ზედამხედველობას და განაგებს ხიფთიურ საწყობებს.

კანტორა გ. ნ. თეატრში 1896 წ. გუნდის მომღერალია.

მაქსიმოვიჩი მ. ა. თეატრში 1896 წ. გუნდის მომღერალი.

გურგენი ს. ლ. თეატრში 1896 წ. ორკესტრის არტისტი.

ნოვიცი ნ. ს. თეატრში 1894 წ. ორკესტრის არტ.

ფაინერი ვ. ს. თეატრში 1894 წ. ორკესტრის არტ.

შიფერი ი. ფ. თეატრში 1885 წ. ორკესტრის არტ.

ჩერნიავსკი ი. ე. თეატრში 1896 წ. ორკესტრის პარტ.

ნეიშანი მ. მ. თეატრში 1898 წ. ორკესტრის არტ.

ალექსევეა ზ. ა. თეატრში 1896 წ. ბალეტის არტისტი.

მხიძე ი. ნ. თეატრში 1868 წ. ასრულებს თანამდებობას თეატრის პარიკმახერისა და გრიმების გამკეთებლისა.

იუბილეს კომისიამ იკისრა რა თაოსნობა ამ ზემოთ გახატვისა ღრმად დარწმუნებულია, რომ ამ მოწოდებაზე გამოგვხმებურებიან სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებანი და მხარს დაგვიჭერენ მოღვაწეთა პატივისცემაში.

იუბილეს კომისია: **ა. რ. წუწუნავა კ. ერზიკიანც, ს. ი. ევლანოვილი, ფ. პ. მაკარენკო, მ. ა. მოლჩანოვი, პ. ლიხიციანი.**

სიმფონიური კონცერტი. ბოლოს დროს, ფრიად გრძელი პერიოდის შემდეგ, გაიმართა სიმფონიური კონცერტი. ჩემის ფიქრით, სიმფონიური კონცერტი ისეთი საკეთილოდ მოქმედობს ფართო მასის განვითარებაზე და მის კულტურულ აღზრდაზე, რომ სერიოზული სიმფონიური მიმართულების კონცერტებმა, უნდა მიიღონ უფრო მეტი სამოქალაქო უფლება, რომ ხელმისაწვდომი გახდეს მასისათვის. რასაკვირველია, რესპუბლიკის მთავრობის მატერიალური დახმარების გარეშე ამის მიღწევა არ შეიძლება, მაგრამ მით უმეტეს ეზიარება მასსა კულტურას, მით უმეტეს იქნება მოთხოვნილება ასეთ რიგ გონიერ გასართობებისადმი და მაშინ კონცერტები თვით დაფარავენ ხარჯებს, რომელიც თან სდევს მის გამართვას.

უკანასკნელი კონცერტის პროგრამა შესდგებოდა რუსეთის დიდი სიმფონისტ-ლირიკოსის პეტრე ჩაიკოვსკის ნაწარმოებთაგან. საკონცერტო ნომრით, დადგმული იყო მისი ყველაზე პოპულარული მეექვსე (პათეტიური) სიმფონია N-moll. გაძლიერებულმა სიმფონიურმა ორკესტრმა, ივანე ფალიაშვილის ხელმძღვანელობით კარგი სიმფონიური კოლორიტი შექმნა, მე მხოლოდ ვერ ვეთანხმები მეორე ნაწილის tempo-ში (თელა ხუთი მეოთხედებით). ეს ნაწილი დაწერილი tempo allegretto con grazia, მიღის უფრო დაჩქარებით. მერმედ არ მესმის კიდევ, რატო უჩქარებს maestro ფალიაშვილი, თითქმის ორმაგათა—მესამე ნაწილის ფინალში.

ძლიერ კარგათ და მონდომებულათ შეასრულა ორკესტრმა პირველი ნაწილი (andante) და უკანასკნელი (andante flegre). კონცერტის პროგრამის მეორე საორკესტრო ნომრით შედიოდა ჩაიკოვსკის საგანგებო სიმფონიური პოემა „რომეო და ჯულიეტა“. მე ვფიქრობ, შექსპირის დრამის ახალგაზრდა გმირთა სასიყვარულო ეპოპეის თემათაგან, საპიროა სიმბოლური ინსტრუმენტების მეტი გამოყენება—(მეტი lardo და ledato და არა ribato). მონტეკისა და კაპულეტის ბრძოლის მაჩვენებელი თემა, რომელიც არის კიდევ მიზეზი რომეოსა და იულიას დაღუპვისა, საპიროა მეტის ტემპერამენტით იქნას ჩატარებული—(ტემპი საომარი).

კონცერტის ვოკალური ნაწილი შესრულებული იქნა ქ. ნი დანიელიანის მიერ, რომელმაც შესანიშნავათ შეასრულა იოლანტის პოეტური არიოზო, ჩაიკოვსკის იმავე ოპერადან და აგრეთვე მისივე რამოდენიმე რომანსი, რომელთა შორის რომანსის „ბოში ქალის სიმღერა“-ს შესრულება ვერ იყო დამაკმაყოფილებელი, ვინაიდან მომღერალი სრულიად ტყვედ უბრალოდ ძლიერ უჩქარებს რომანსის პირველი ნაწილის tempo-ს. სხვა დანარჩენი რომანსები შესანიშნავათ იქნა შესრულებული.

მ. ინაშვილმა იმღერა, ტენიკური შესრულების მხით უძნელესი არია რომანტისა ოპერადან იოლანტა.

პ. ბებუთოვი.

ია კარგარეთელი და სახალხო მუსიკა.
შაბათს, მაისის 5-ს კონსერვატორიის დარბაზში იმართება 35 წლის იუბილე ძველ სახალხო მუსიკის ია კარგარეთელის. ვისაც აქვს წარმოდგენილი ხალხურ მუსიკის მნიშვნელობა, მასთან ერთად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი იას მოღვაწეობა. ადვილია თქმა 35 წლის მოღვაწეობა, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ მრავალ დაბრკოლებას, რომელიც წინ ედგობოდა მის მოღვაწეობას, მაშინ დავრწმუნდებით რა მრავალ-გვარი

ტანჯვა-წამება და ძარღვების აშლა ექნება მიღებული ხალხურ მუსიკის მესაიდუმლეს პატივცემულ იას 35 წლის განმავლობაში.

ყველას მოეხსენება, რომ ჩვენი სიმღერები უმატრონობისა და უყურადღებობის გამო მოიფანტნენ ისე, რომ მათი სხენებაც კი არსად ისმის. დღესაც კიდევ ბევრს არა აქვს წარმოდგენილი ჩვენი მუსიკის მნიშვნელობა. ბევრს სიმღერა მიაჩნია როგორც საქეიფო—დროს გამტარებელი იარაღი, მუსიკის დარგში მომუშავე პირები კი—უსაქმო, ცუდით მოხეტიალე პირებად.

იას მტკიცე ხასიათმა შესძლო ყოველგვარი დამამბროლებელ მიზეზების გადალახვა.

ჩვენი ხალხი ღირსეულად დაუფასებს თავის სახალხო მუსიკის ღირსეულ მისაიდუმლოს—იას გარეთელს.

განსაკუთრებული დიდი წყალობა მართებთ სახალხო მომღერალს, რომელმაც ქვემოთაა დაგვანან იას განვლილ გზას.

სალამი იას! ვაშა მის განვლილ გზას და დიდება ჩვენს ხალხურ მუსიკას, რომლის სახელთან განუყრელია იას სახელიც.

სახალხო მომღერალთა გუნდის ლობჯიარი, ალ. მაისურაძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

რ. ს. ფ. ს. რ.

კეზინოტკრისტი

ტფილისის განყოფილება.
ბითუბათ და სალომით პაჭრობა
(სოლოლაკის ქ. № 4. ტელეფ. 4—86).
სეზონი გახატულია დიდი
პ ა რ ტ ი ა

გრუნო-ავტო-მოტო-ველო-ეტლის შინებისა,
აგრეთვე ტენიკური რეზინისა.

საწყობებში ყოველთვის დიდი რაოდენობით და სარჩევით არის ყოველნაირი რეზინის და აზბესტის ნაწარმოები, რომლებსაც აშაადებენ ტრესტის ქარხნები.

სახელმწიფო დაწესებულებებს და კოოპერატივებს მიეცემათ შეღავათით.

322 2—2

დადგენილება № 10.

ტფილისის აღმასკომისა 28 აპრილს 1923 წლის.

შრომის საერთაშორისო დღესასწაულის

1 მაისის საზიარო მატარების მიზნით

ტფილისის აღმასკომი ადგენს:

1. ევალება ყველა სახლების პატრონებს, სახლების კომენდანტებს და მდგურებს, რომ 1 მაისს სახლების ფასსა და ქუჩებზე გამოსავალი ბიწები მოერთონ ხალხივით, გირლიანდებით და სხვა.
2. ყველა სახლებზე უნდა იქმნეს გამოკიდებული წითელი დროშა.
3. დაწესებულებები, წარმოებები და შეძლებისა და გვარად კერძო სახლებიც იქმნეს 1 მაისს გაჩირადლებული.

აღმასკომის თავმჯდომარე: **ხუნიშვილი.**
საქმეთა მმართველი, პრეზიდენტის წევრი: **მეხნია.**
№ 328—1—1.

ტფილისის აღმასკომის კომისიის ანგარიშ

დანიშნულებული პირთა საყურადღებოთ,

რომ 1923 წ. 29 აპრილს დილის 10 საათზე აღმასკომის დარბაზში (№ 12)

დანიშნულია შაჯიგრაბა

აღმასკომისათვის 3000 კუბ. სავ. მავარი ხარისხის შეშის დამზადებაზე ფრანკო-აღმასკომის საწყობებში. შეშის ჩაბარება შეიძლება ნაწილობრივითაც.

განცხადების მიღება დაწყებული პირობებით შეიძლება ა.წ. 29 აპრილამდე დაბეჭდილ პაქეტებში აღმასკომის კომენდანტის ოთახში № 22.

ყოველივე ცნობებს ამის შესახებ აძლევს აღმასკომის კომენდანტურა.

პრეზიდენტი.
№ 323—5—5

განცხადება

ქალაქის აღმასკომის საფინანსო განყოფილება საყოველთაო საყურადღებოთ ამით აცხადებს, რომ ა. წ. 1 მაისიდან ყოველ-გვარ გადასახადების ასაკრფე ოქროს მანეთის კურსით ქალაქის აღმასკომი იხელმძღვანელებს წინა დღის ოფიციალურ ოქროს მანეთის კურსის მიხედვით.

საფინ. ნსო განყოფილების გამგე **ფილატოვსკი.**
№ 327—3—1.

საგარო მატარება

ტფილისის აღმასკომის კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ორშაბათს, ა. წ. 30 აპრილს დილის 12 საათზე აღმასკომის კომიტეტის შენობაში

დანიშნულია საჯარო მატარება

ქალაქის ხუთი სასწორის

(თათრის მოედ., დესიმონოვის მოედ., მალაქის მოედ., ნუნუფაროვის და მუხრანის რიონკე) იჯარით გასაცემად ცალკე პირზედ ან იურიდიულ უფლებით აღჭურვილ ამხანაგობაზედ.

ვაჭრობა დაიწყება 15,000 მანეთიდან ოქროთი ხუთივე სასწორზე წელიწადში, დაწყებული კონცესიის გაცნობა შეიძლება ყოველ დღე აღმასკომში ოთახი № 50.

325 4—4